სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

_____ კახაბერ კირტავა

„ 9 „ ივნისი „ 2014 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა

და ეკონომიკის სამინისტრო

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 6/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ *3*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას **3**

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა **3**

აუდიტორის პასუხისმგებლობა 3

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ *4*

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ *7*

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ *7*

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა **7**

აუდიტორის პასუხისმგებლობა **7**

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ *8*

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ *15*

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა *15*

- *პრივატიზაცია* *15*
- *საწარმოთა მართვა* *16*
- *ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა* *18*

ანგარიშგების ფორმები *22*

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა სამინისტროს 2013 წლის ნაერთი ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის შესრულების მიზნით, 2013 წელს განხორციელებული რიგი ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ ვერ მოხერხდა პროექტის სამუშაო ვარიანტის შემუშავება და შესაბამისად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მიღებული სესხის აუთვისებელ ნაწილზე, ვალდებულების გადასახადის სახით გადახდილია სულ 118,6 ათასი ლარი. მათ შორის 2011 წელს -51,0 ათასი ლარი, 2012 წელს - 34,0 ათასი ლარი და 2013 წელს -33,6 ათასი ლარი. პროექტის ფარგლებში მიღებული გრანტი არ არის აღრიცხული სამინისტროს ბალანსზე და არარეზიდენტების მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება არ არის დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადით. ამასთან, ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობის ცვლილების გამო, არაეფექტიანად გახარჯულია გრანტის სახით გამოყოფილი 1009,2 ათასი ევრო და კომპანიების მიერ გაწეულ მომსახურებაზე არასათანადო კონტროლის გამო, არასწორად განისაზღვრა გრანტის აუთვისებელი ნაშთი.

- 2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ სასესხო ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (ბანკი) და საქართველოს შორის, რომლის თანახმად ბანკი დათანხმდა საქართველოს გამოუყოს 3000,0 ათასი ევრო. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, 2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელებისა და მხარდაჭერის ხელშეკრულებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, თვითმმართველ ქალაქ ბათუმს, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ბანკს შორის და ამავე დღეს გაფორმდა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელების ხელშეკრულება შპს „ჰიგიენა -2009“-სა და ბანკს შორის. აღნიშნული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, 2010 წლის 20 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან, სასესხო ხელშეკრულებითა და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის, უნდა მიეღო 3000,0 ათასი ევრო. აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, სესხის მიმღები აუთვისებელ ნაწილზე იხდის ვალდებულების გადასახადს წლიური 0,5%-ის ოდენობით.

2013 წლის განმავლობაში, პროექტის შესრულების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ვერ მოხერხდა საპროექტო დოკუმენტაციის სამუშაო ვარიანტის შემუშავება, რის გამოც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სესხის სახით გამოყოფილი 3000,0 ათასი ევროდან თანხის ათვისება საერთოდ არ მომხდარა და ხელშეკრულების მე-3 პუნქტის შესაბამისად აუთვისებელ ნაწილზე ვალდებულების გადასახადის სახით გადახდილია სულ 118,6 ათასი ლარი. მათ შორის 2011 წელს -51,0 ათასი ლარი, 2012 წელს -34,0 ათასი ლარი და 2013 წელს - 33,6 ათასი ლარი.

პროექტის „მყარი ნარჩენების მართვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ მხარდაჭერის მიზნით, 2010 წლის 3 და 22 სექტემბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და საერთაშორისო კონსულტანტ კომპანიებს „SWECO”-სა (შვედეთი) და “WYG”-ს (დიდი ბრიტანეთი) შორის გაფორმდა კონტრაქტები, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ პროექტის ფარგლებში გაფორმებული საგრანტო შეთანხმებით გათვალისწინებულ საკონსულტაციო მომსახურების შესახებ.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ პროექტის ფარგლებში გრანტის სახით გამოყოფილი იქნა სულ 1357,9 ათასი ევრო. მათ შორის „SWECO”-ს მიერ გასაწევი მომსახურებისათვის - 749,0 ათასი ევრო, ხოლო “WYG”-ის მიერ გასაწევი მომსახურებისათვის- 608,9 ათასი ევრო.

საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც „SWECO”-ს მხრიდან საპროექტო მომსახურებასა და ხელშეკრულების ზედამხედველობის მხარდაჭერას, ხოლო “WYG”-ის

მხრიდან სამეურნეო საქმიანობის განვითარებისა და რეგიონალური მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებას ითვალისწინებდა, საგრანტო შეთანხმების შესაბამისად ფინანსდებოდა კონსალტინგური კომპანიების მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად შედგენილი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადასტურებული ანგარიშ-ფაქტურების(ინვოისები) შესაბამისად, რომელიც იგზავნებოდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში, საიდანაც გამოყოფილი გრანტის ფარგლებში ხდებოდა გაწეული მომსახურების დაფინანსება. ამასთან, მომსახურების ხარისხისა და ხელშეკრულების პირობებთან მისი შესაბამისობის შემოწმება, ასევე საგრანტო შეთანხმებების შესაბამისად არაპირდაპირი გადასახადების გადახდა სამინისტროს ევალებოდა.

აუდიტის პერიოდში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, სამინისტროს მიერ დამოწმებულია და ბანკის მიერ 2014 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, ანაზღაურებულია 1009,2 ათასი ევროს ღირებულების მომსახურება. მათ შორის „SWECO"-ზე გადახდილია - 658,6 ათასი ევრო, ხოლო "WYG"-ზე - 350,6 ათასი ევრო.

პროექტის ფარგლებში გრანტის სახით გახარჯული 1009,2 ათასი ევრო არ არის აღრიცხული სამინისტროს ბალანსზე[1]. აღსანიშანვია, რომ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საეთაშორისო შეთანხმებები მოქმედებს ზემოთ აღნიშნული კომპანიების ქვეყნებთან, თუმცა „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობასა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადების დაბრუნების წესის[2]" მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 125-ე მუხლის საფუძველზე, კონსალტინგურ კომპანიებზე გადახდილი 1009,2 ათასი ევრო, როგორც არარეზიდენტზე გადახდილი თანხები, ექვემდებარებოდა საშემოსავლო (100,9 ათასი ევრო) გადასახადით დაბეგვრას[3].

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და კომპანია „SWECO"-ს შორის, 2013 წლის 17 დეკემბერს გაფორმდა ახალი ხელშეკრულება საინჟინრო და საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის შესახებ, რომლის ღირებულებაც 482,4 ათასი ევროთი განისაზღვრა. აღნიშნული მომსახურების შესყიდვა საჭირო გახდა <u>ნაგავსაყრელის პოლიგონის მშენებლობისათვის ახალი ადგილის(სოფ. ცეცხლაური) გამოყოფასთან დაკავშირებით</u> და ფაქტიურად გრანტის ფარგლებში გაწეული საინჟინრო - საზედამხედველო მომსახურება, დაბა ჩაქვში ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებით, სრულად გამოუსადეგარი გახდა. შესაბამისად, ზემოთ

[1] შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-6 პუნქტი (10.01.2012-მდე), 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი (31.12.2013-მდე) და 35-ე მუხლის 1[1] პუნქტის მოთხოვნები(01.01.2014-დან)

[2] საქართველოს ფინანსთა მინისტრის N145. 2.03.2010 და N633. 28.12.2011 ბრძანებები

[3] საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის 1 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი და 176-ე მუხლი

აღნიშნული კომპანიების მიერ გრანტის ფარგლებში შესრულებული მომსახურების ღირებულება 1009,2 ათასი ევრო არაეფექტიანად იქნა გახარჯული.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ღირებულება სულ 482,4 ათასი ევროთი განისაზღვრა. მათ შორის 399,3 ათასი ევრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება, ხოლო 83,0 ათასი ევრო, პროექტის მხარდაჭერისათვის გამოყოფილი გრანტის აუთვისებელი ნაწილია, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, კომპანია „SWECO"-ს მიერ გასაწევი მომსახურებისათვის გამოყოფილი გრანტიდან, 2013 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით[4], აუთვისებელი იყო 90,4 ათასი ევრო, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე 7,4 ათასი ევროთი მეტი.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, სამინისტროს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება

[4] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2013 წლის 17 დეკემბრის N272 ხელშეკრულების გაფორმების თარიღი

კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. **2008-2011 წლებში პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვის გამო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის მიუხედავად ვერ ხერხდება ხელშეკრულებების მოშლა და 5119,8 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ქონების საკუთრებაში დაბრუნება. ამასთან აღსანიშნავია, რომ აუდიტის სამსახურის მიერ წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო, 2013 წელს გაიზარდა აღნიშნული კატეგორიის ხელშეკრულებათა რიცხვი.**

ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში, პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვის გამო, ვერ ხერხდება ქონების საკუთრებაში დაბრუნება.

ობიექტის დასახელება	მყიდველი	ვალდებულების შესრულების ვადა	ქონების იპოთეკით დატვირთვის თარიღი	ქონების ღირებულება
აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული სს „აჭარის კურორტების“ 100%-იანი და სს „მესხეთის“ 52,83%-იანი აქციათა პაკეტი	შპს „აჭარა რიზორთს ჰოლდინგ ბი.ვი“	01.09.2011	08.04.2008	4000,0 ათასი აშშ დოლარი
ქ. ქობულეთში მ. აბაშიძის ქ N102-ში მდებარე მეცნიერებათა შემოქმედებითი სახლის დაუმთავრებელი მშენებლობა საერთო ფართით 11895,5 კვმ და მასზე დამაგრებული 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთი	ივანე მარტიაშვილი	24.10.2008	18.10.2007	850,0 ათასი აშშ დოლარი
ქ. ქობულეთში თამარ მეფის სანაპირო N74 -ში მდებარე ყოფილი N1 მუსიკალური სკოლის შენობა ფართით 451,1 კვმ და მასზე დამაგრებული 1050 კვმ მიწის ნაკვეთი	ნოდარ ბერიშვილი	29.11.2010	29.06.2008	160,0 ათასი აშშ დოლარი

ამასთან აღსანიშნავია, რომ მიუხედავად აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა, კვლავ გრძელდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის პერიოდისათვის,

ქონების იპოთეკით დატვირთვა. იპოთეკით დატვირთული ქონებიდან 4 შემთხვევაში მოთხოვნილია ვალდებულების შესრულების გადავადება (მათ შორის 2 დაკმაყოფილდა), ხოლო 1 შემთხვევაში ადგილი აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის გადაუხდელობას. კერძოდ: შპს „ბიოპოლუსის" მიერ, 2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ხელშეკრულებით განსაზღვრული 104,0 ათასი ლარიდან, გადახდილია მხოლოდ 55,5 ათასი ლარი, რის გამოც ხდება საჯარიმო სანქციების გამოყენება, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, ქონების იპოთეკით დატვირთვის გამო, ვერ ხერხდება ხელშეკრულების მოშლა და 186,7 ათასი ლარის ღირებულების ქონება კვლავ შპს „ბიოპოლუსის" საკუთრებაშია. იპოთეკით დატვირთულ ქონებასთან მიმართებით შემდეგი მდგომარეობაა:

ობიექტის დასახელება	ნასყიდობის ხელშკრულების გაფორმების თარიღი და მყიდველი	იპოთეკით დატვირთვის თარიღი	ქონების ღირებულება ათასი ლარი	შენიშვნა
ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობებისა და მასზე დამაგრებული 2522,27კვმ მიწის ნაკვეთი	2.07.2008 შპს „ქროსვეისი"	4.10.2012	1962.4	ვალებულების შესრულება გადავადებულია 30.12.2014-მდე
ქ. ბათუმში, კობალაძისა და ინასარიძის ქუჩების კვეთაში მდებარე დაუმთავრებელი შენობა და მასზე დამაგრებული 2884 კვ.მ მიწის ნაკვეთი	01.11.2010 შპს „ჯიი - XXI"	23.05.2012	993.9	ვალებულების შესრულება გადავადებულია 01.02.2015-მდე
აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული ქონების სს „გომარდულისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ	02.05.2012 სს „გომრდული"	27.11.2012	2157.2	ითხოვს ვალდებულების შესრულების გადავადებას 2014 წლის ბოლომდე
დაბა ქედაში, 9 აპრილის ქN8-ში მდებარე 2015,15 კვ.მ შენობა-ნაგებობისა და მასზედ მიმაგრებული 6559 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	10.05.2012 შპს „იმერი"	25.05.2012	133.2	ითხოვს ვალდებულების შესრულების გადავადებას 2015 წლის ბოლომდე
შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანაში მდებარე 4837,11 კვ.მ შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 25629,4 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	30.06.2011 შპს „ბიოპოლუსი"	24.08.2011	186,7	ხელშეკრულებით განსაზღვრული 104,0 ათასი ლარიდან გადახდილია 55,5 ათასი ლარი. პირობების შეუსრულებლობისათვის ერიცხება ჯარიმა

2. ადგილი აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე არასათანადო კონტროლის დაწესების ფაქტებს, კერძოდ:

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ციტრუსის შემფუთავი/დამხარისხებელი ან/და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის ტარის წარმოების საწარმოების მოწყობის მიზნით, 2013 წელს 21 შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე 1682,4 ათასი ლარის ღირებულების ქონება, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასში - 1 ლარად საკუთრებაში გადაეცა კერძო ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების შესაბამისად ნასყიდობის ხელშეკრულებები გაფორმდა 19 შემთხვევაში, ხოლო 2 შემთხვევაში[5],

[5] შპს „Ge-Geo" -ს/კ 22.23.10.197 და ი/მ „შაქრო დიასამიძე - ს/კ 20.50.01.241

არადამაკმაყოფილებელი პირობების მოტივით, მყიდველის მხრიდან გაცხადებული უარის გამო, ნასყიდობის ხელშეკრულებები არ გაფორმებულა.

ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ირკვევა, რომ ვალდებულებები სრულად შესრულებულია 6 შემთხვევაში, ნაწილობრივ და დაგვიანებით შესრულებულია 5 შემთვევაში და 8 შემთხვევაში ვალდებულებები არ არის შესრულებული და მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება ხელშეკრულებების მოშლის მიზნით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ვალდებულებების ნაწილობრივი ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, ხელშეკრულებებში ვალდებულებების გადავადებისა და საჯარიმო სანქციებიდან გათავისუფლების რეკომენდაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთვრობაში გაგზავნილია შესაბამისი წერილები.

- შპს „აქტივ ბათუმის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2012 წლის 5 ნოემბერს, თუმცა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიღებული არ არის;
- ნოდარ ბერიშვილის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადა 2010 წლის 29 ნოემბერს დასრულდა, თუმცა ამის შესახებ სამინისტროს წერილობითი შეტყობინება გაგზავნილი აქვს მხოლოდ 2012 წლის 17 აპრილს, ანუ 16 თვის შემდეგ და 2012 წლის 29 მაისს, მასალების იურიდიულ დეპარტამენტზე გადაცემის მიუხედავად, რაიმე სახის რეაგირება არ მომხდარა ;
- შპს „Esco-Georgia”-ს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2013 წლის 10 ივლისს, თუმცა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიღებული არ არის;
- ი/მ „ბესარიონ მანელიშვილთან“ ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადა 2013 წლის 1 ნოემბრით განისაზღვრა. პირობების შესრულების მდგომარეობის დადასტურების მოთხოვნით სამინისტროს წერილი გაგზავნილი აქვს 2013 წლის 25 ოქტომბერს, თუმცა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის პასუხი მიღებული არ არის.

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შეუსრულებლობის პირობებში, არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილება პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ, რაც ბიუჯეტისათვის 157,7 ათასი ლარის დამატებითი შემოსავლის მიღების დამაბრკოლებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, საცხოვრებელი კორპუსების ექსპლუატაციაში მიღების მიუხედავად, არ მოხდა მისი მობინადრეებზე სრულად გადაცემა, რის გამოც 2014 წლის 1 მაისის მდგომარეობით დაცვის მომსახურებისათვის დამატებით გაიხარჯა 51,6 ათასი ლარი.

სამინისტრომ შპს ,,NAREM CBM''-თან, ელექტრონული ტენდერის საშუალებით[6] 2012 წლის 29 მაისს გააფრომა ხელშეკრულება[7], ქ. ბათუმში, თამარის დასახლებაში, ტბეთის ქუჩაზე ორი ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. სახელშეკრულებო ღირებულება - 4 849,0 ათასი ლარით, სამუშაოების შესრულების ვადა არაუგვიანეს 2012 წლის 20 დეკემბრით განისაზღვრა. ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად (8 შემთხვევა) სახელშეკრულებო ღირებულებამ 5002,3 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო სამუშაოთა დასრულების ვადა კი 2013 წლის 27 აპრილით განისაზღვრა.

აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ 2013 წლის 6 მარტის მდგომარეობით[8], ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოებიდან შეუსრულებელი იყო ტერიტორიის კეთილმოწყობის 70,7 ათასი ლარის[9] ღირებულების სამუშაოები. სამუშაოების მიმღებმა კომისიამ[10] მიზენშეწონილად ჩათვალა მოასფალტების სამუშაოების დროებით შეჩერება და მისი დასრულება დამატებითი სამუშაოების შესრულების შემდგომ, თუმცა სამინისტროს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტურად არ გაფორმებულა[11]. 2013 წლის 29 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის შესაბამისადაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების (მ.შ. შეჩერებული და დამატებითი სამუშაოები) შესრულების ვადა 2013 წლის 27 აპრილით განისაზღვრა, თუმცა ხელშეკრულების მოქმედების 6 მარტიდან 29 მარტამდე პერიოდში, სამუშაოთა შეუსრულებლობის პირობებში, პირგასამტეხლოს დარიცხვა არ განხორციელებულა, რაც ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით 157,7 ათას ლარს შეადგენს (4779184.5X0.15% X 22).

ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2013 წლის აპრილში, თუმცა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის ვერ მოხერხდა მისი სრულად მობინადრეებზე გადაცემა და საცხოვრებელი ფართის არასანქცირებული დაკავების აღკვეთის მიზნით, 2013 წლის მაისიდან შპს „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან" გაფორმებულია ხელშეკრულებები დაცვის მომსახურების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ

---

[6] SPA 120011013

[7] ხელშეკრულება N151 29.05.2012წ.

[8] მიღება-ჩაბარების აქტი N18 06.03.2013წ.

[9] ყველა დამატებითი ხარჯების, მოგებისა და გადასახადების გარეშე თანხა

[10] სამუშაოების მიმღები კომისიის მოხსენებითი ბარათი 12.03.2013წ.
ქალაქმშენებლობის დეპ. უფროსის მოხსენებითი ბარათი 25.03.2013წ.

[11] შეუსრულებელია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-20 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები.

მობინადრეთა არათავისდროული შერჩევის შედეგად, 2014 წლის 1 მაისის მდგომარეობით დამატებით გაიხარჯა 51,6 ათასი ლარი.

4. სამინისტროს მიერ 2013 წელს გატარებული რიგი ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ დიდია სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს სახით დარიცხული და გადაუხდელი თანხები. კერძოდ, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დარიცხული 89145,7 ათასი ლარიდან და 1552,9 ათასი აშშ დოლარიდან, ბიუჯეტის შემოსავლებში ჩარიცხულია მხოლოდ 312,0 ათასი ლარი, ანუ დარიცხული თანხის 0,3 პროცენტი. 2 შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოუყენებლობის შედეგად, ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციების სახით არ იქნა დარიცხული 51,6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის მოტივით საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობების შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე, ქონების მყიდველებს ჩამოეწერათ ნასყიდობის ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის საჯარიმო სანქციის სახით დარიცხული 2787,2 ათასი ლარი. ამასთან, ფიქსირდება საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტები.

ნასყიდობის ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობისათვის დარიცხული საჯარიმო სანქციების, ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღების მიზნით შესაბამისი სარჩელები შეტანილია სასამართლოში, თუმცა მიუხედავად ამისა, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ადმინისტრაციული წარმოების შედეგად დარიცხული 89145,7 ათასი ლარიდან და 1552,9 ათასი აშშ დოლარიდან, ბიუჯეტის შემოსავლებში ჩარიცხულია 312,0 ათასი ლარი, ანუ დარიცხული თანხის 0,3 პროცენტი.

აუდიტის პერიოდში, საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის მოტივით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, სამინისტროს წინადადების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, ქონების მყიდველებს 17 შემთხვევაში ჩამოეწერათ ნასყიდობის ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის საჯარომო სანქციის სახით დარიცხული 2787,2 ათასი ლარი.

ნასყიდობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის დარიცხული საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლებას საფუძვლად უდევს სამინისტროს შესაბამისი მიმართვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისადმი, რომლის მოწონების შემთხვევაში, მთავრობის შესაბამისი განკარგულებით, სამინისტროს ენიჭებოდა საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლების უფლება.

სამინისტროს მიერ ამ მიზნით მთავრობისადმი წარდგენილი წინადადებების შემოწმებით გამოვლინდა საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტები. კერძოდ, სამინისტროს შესაბამისი წინადადების გათვალისწინებით, დარიცხული საჯარიმო სანქციებისგან მთლიანად გათავისუფლდნენ: შპს „ჟასმინი“ (დარიცხული ჯარიმა 288,0 ათასი აშშ დოლარი), ირის ბორჩაშვილი (დარიცხული ჯარიმა 863,9 ათასი აშშ დოლარი), შპს „მერისნ ტურიზმი“ (დარიცხული ჯარიმა 245,8 ათასი ლარი) და ა.შ. დარიცხული ჯარიმა შეუმცირდათ : შპს „V&T ARGO”-ს - 50%-ით (დაერიცხა 9,8 ათასი ლარი, შემცირდა 4,9 ათას ლარამდე), შპს „ItalGeoConstractions&Mani Management”-ს -70,4 %-ით (დაერიცხა 337,6 ათასი ლარი, შემცირდა 100,0 ათას ლარამდე), შპს აგროდეკორსერვისს“ – 40%-ით (დაერიცხა 18,9 ათასი ლარი, შემცირდა 11,3 ათას ლარამდე). ამასთან აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში მთავრობისადმი გაგზავნილ შუამდგომლობებში, არ არის მინიშნებული დარიცხული საჯარიმო სანქციების ოდენობა, რაც საკითხისადმი სამართლიანი მიდგომის თვალსაზრისით მნიშვნელოვან გარემოებად მიგვაჩნია.

სამინისტროსა და შპს ,,ელდა 2011’’-ს შორის 2011 წლის 18 მაისს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად, საზოდადოებას სარგებლობაში 1 წლის ვადით გადაეცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სამრეწველო ზონაში მდებარე 227,8 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 5821 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 05.35.28.090 და 567.6 კვ.მ შენობა- ნაგებობა და მასზე დამაგრებული 5940 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 05.35.28.091. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის ვადის ამოწურვის მიუხედავად, არ მოხდა ქონების სამინისტროზე დაბრუნება, რის გამოც სამინისტროს მოთხოვნის მიხედვით შპს ,,ელდა 2011’’-ის მიერ გადახდილი იქნა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის საიჯარო ქირა 14,6 ათასი ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების 9.1 პუნქტის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ არ არის შედგენილი ქონების დაბრუნების ოქმი, რის გამოც ვერ დასტურდება დაბრუნების თარიღი. ამასთან, სამინისტროს მიერ არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებით[12] გათვალისწინებული უფლებამოსილება სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციების დაკისრების შესახებ, რაც 51,0 ათას ლარს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების[13] საფუძველზე, სამინისტროსა და შპს ,,სენს სელექშენს’’ შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება[14] ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარში მდებარე 70 542 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი იჯარით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციით, 2014 წლის 27

[12] შპს „ელდა 2011“-თან 2011 წლის 18 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების 8.3 და 6.6 პუნქტის მოთხოვნები.
[13] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება N9 2011 წლის 13 იანვარი
[14] 27.01.2011წ.

იანვრისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მოიჯარის მიერ ვერ იქნა შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები[15] კერძოდ, 1.5 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის ვადაში არანაკლებ 100 000 ლარის ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით. საზოგადეობის მიერ დადასტურებული იქნა აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა და მოთხოვნილი იქნა ვადის გადავადება. მიუხედავად ამისა, იმ პირობებში როდესაც არ არის წარმოდგენილი შესაბამისი შეთანხმება ვადების გაგრძელების შესახებ, სამინისტროს მიერ არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქცია[16], რომელიც საიჯარო ქონების ღირებულების 10%-ით, ანუ 0,6 ათასი ლარით დაჯარიმებას ითვალისწინებდა.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების აღრიცხვის, ფლობისა და მართვის საქმეში არასათანადო კონტროლის შედეგად ადგილი აქვს ქონების არამართლზომიერი გამოყენებისა და არასრული აღრიცხვის ფაქტებს. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ვერ ხერხდება 238,0 ათასი ლარის ღირებულების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენა, რაც აღნიშნული ქონების მითვისების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

სამინისტროს მიერ, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ახალი საკადასტრო მონაცემების შესახებ. შესაბამისი პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული მონაცემების აღება ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის საშუალებით, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქონების მართვისა და მისი მართლზომიერი გამოყენების მდგომარეობაზე კონტროლს. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2014 წლის N‹-157 ბრძანების შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ გამოვლენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერი გამოყენების 29 შემთხვევა, რომელთაგან 17 შემთხვევაში ქონება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებულია 2012 წელს, 8 შემთხვევაში - 2011 წელს და 4 შემთხვევაში -2010 წელს.

სამინისტროსა და შპს ,,ელდა 2011''-ს შორის 2011 წლის 18 მაისს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად, საზოგადოებას სარგებლობაში 1 წლის ვადით

---

[15] დარღვეული ხელშეკრულების 6.3 ბ) პუნქტის მოთხოვნები - 1.5 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის ვადაში განახორციელოს არანაკლებ 100 000 ლარის ინვესტიცია და ზემოთაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დაასაქმოს არანაკლებ 15 საქართველოს მოქალაქე, ხოლო შემდეგი 2 წლის ვადაში დამატებით განახორციელოს არანაკლებ 150 000 ათასი ლარის ინვესტიცია და დამატებით დაასაქმოს არანაკლებ 10 საქართველოს მოქალაქე.

[16] დარღვეულია ხელშეკრულების 6.7 ბ) პუნქტის მოთხოვნები

გადაეცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სამრეწველო ზონაში მდებარე 227,8 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 5821 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 05.35.28.090 და 567.6 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 5940 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 05.35.28.091. დამოუკიდებელი აუდიტორის რ. გოგიტიძის შეფასებით, აღნიშნული ქონების ღირებულება სულ შეადგენს 511,0 ათას ლარს. მათ შორის 238, 0 ათასი ლარი 2 ერთეული შენობა - ნაგებობების, ხოლო 273,0 ათასი ლარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ღირებულებაა.

შპს „ელდა-2011"-თან 2013 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით მოიჯარეს სარგებლობაში გადაეცა იგივე საკადასტრო ერთეულები, მიწისა და შენობა-ნაგებობების იგივე მოცულობებით, თუმცა ახალ აუდიტორულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ აუდიტორის შეფასების პერიოდისათვის[17] აღნიშნულ ტერიტორიაზე განლაგებულია 30 კვ.მ-მდე (დაუზუსტებლად) ოფისის ტიპის შენობა-ნაგებობა ღირებულებით 12,0 ათასი ლარი, რომელიც გამოყენებულია ამ ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი საწარმოს თანამშრომლებისათვის. შესაბამისად, ახალი აუდიტორული დასკვნით არ არსებობს წინა აუდიტორის მიერ შეფასებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 238,0 ათასი ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ხერხდება აღნიშნული ქონების ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენა, რაც მისი მითვისების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

- **პრივატიზაცია**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით 2013 წელს პრივატიზებულია სულ 28 ობიექტი. მათ შორის: 24 პირდაპირი მიყიდვის (მათ შორის 21 ციტრუსის მიმღები პუნქტი), 1 პირობიანი

[17] 10.06.2013წ.

აუქციონის და 3 უპირობო აუქციონის ფორმით. ამავე პერიოდში მიმდინარეობდა 141 ობიექტის პრივატიზებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი. ამასთან, აღნიშნული საქმეებიდან 9 საქმე 2012-2013 წლებში შემდგომი რეაგირების მიზნით გადაცემულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურზე, კერძოდ:

N	საქმის დასახელება	მყიდველი
1	შპს „ქ. ბათუმის N3 საავადმყოფოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 100% წილი	შპს „ ლადგალია“
2	ქ. ბათუმში, თამარის დასახლება, თამარ მეფის გზატკეცილზე მდებარე დაუმთვარებელი მშენებლობა და მასზე მიმაგრებული 22566 კვ.მ მიწის ნაკვეთი	შპს „GEORGIA INN“
3	ქ. ბათუმში გოგრბაშვილის ქ #30 მდებარე შენობა-ნაგებობა (1799 კვ.მ) და მასზე მიმაგრებული 1362 კვ.მ მიწის ნაკვეთი. (მეზღვაურთა საავადმოყოფო)	შპს „გოგებაშვილი 30“
4	აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული სს „აჭარის კურორტების“ 100%-იანი და სს „მესხეთის“ 52,83%-იანი აქციათა პაკეტი. ქ. ბათუმი, ნინოშბვილის ქ. N1	შპს „აჭარა რიზორტ ჰოლდინგ BB.V“
5	ქ. ბათუმში ლესელიძის ქ #6-ში მდებარე 1211,41 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 753 კვ.მ მიწის ნაკვეთი	არტურ მურადიანი
6	ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ N10/12-ის მიმდებარედ მდებარე 1621 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	შპს "ADOG-GEORGIA"
7	ქ. ბათუმში, ს. ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარედ სასტუმრო მარინასა და აკვაპარკს შორის მდებარე 9900 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	შპს „ეს დაბლიუ-ინნ“
8	შპს „ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრის“ და შპს „ბათუმის სამშობიარო სახლის“ 100%-იანი წილი.	შპს „ავანტე“
9	აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, შავშეთის/გოგებაშვილის ქ. N2,4,6/60 მდებარე 4706,21 კვ.მ შენობა-ნაგებბბა და 5196 კვ.მ მიწის ნაკვეთი	შპს „მერსინ ტურიზმი“

- **საწარმოთა მართვა**

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების რაოდენობამ 71 ერთეული შეადგინა. წარმოდგენილი ბალანსების შესაბამისად, 2012 წელი ფინანსური მოგებით დასრულებული აქვს 18 საწარმოს, ანუ 25.4 პროცენტს. 8 საწარმოს 2012 წელში არსებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

2013 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში დივიდენდის სახით ჩარიცხულია 1310,5 ათასი ლარი. ამასთან, 2012 წლის შედეგებიდან გამომდინარე, სს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ წმინდა მოგების სახით მიღებული 39,0 ათასი ლარი დატოვებული იქნა საწარმოში.

საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები 2008-2011 წლებში
(ათასი ლარი)



როგორც ზემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობას 2011 წლამდე კლების ტენდენცია ახასიათებდა. 2011-2013 წლებში ზრდა ძირითადად გამოწვეულია შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის მიერ ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხებით, რომელმაც 2011 წელს 74,0 ათასი ლარი (ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხის 67,2 %), 2012 წელს 627,1 ათასი ლარი (ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხის 48 %), ხოლო 2013 წელს კი 796,4 ათასი ლარი (ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხის 60,8 %) შეადგინა.

2013 წელს დივიდენდის სახით ბიუჯეტში გადახდილია:

N	დასახელება	თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	შპს "აჭარის სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური"	10329	
2	საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრი	28948	
	შპს "ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი"	220994	
	შპს "ქ. ბათუმის #1 პოლიკლინიკა"	18027	
	შპს "ბათუმის სამშობიარო სახლი"	155000	პრივატიზაციის შედეგად დივიდენდის სახით გადახდილი თანხა
	შპს "ქ. ბათუმის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი"	29616	
	შპს "აჭარის ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი"	6729	
	შპს „ალფა“	5123	
	შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო“	30821	
0	შპს „ნარკოლოგიური ცენტრი“	8533	
1	შპს "სავაჭრო ცენტრი 2009"	796363	
	ჯამი	1310483	

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საწარმოებზე წინა წლების გაუნაწილებელი მოგების სახით ირიცხება 718,8 ათასი ლარი. მათ შორის: შპს „აჭარის სისხლის გადასხმის

რესპუბლიკურ სადგურს“ ერიცხება 4,9 ათასი ლარი, შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალურ ცენტრს“ – 295,6 ათასი ლარი, შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკას“ – 53,7 ათასი ლარი, შპს „ნარკოლოგიურ ცენტრს“ -2,0 ათასი ლარი და სს „ბათუმის ავტოსადგურს“ – 401,5 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილი 100% -ს შეადგენს და შესაბამისად დივიდენდის დატოვების საკითხი სამინისტროს პოზიციის შესაბამისია, ხოლო რაც შეეხება სს „ბათუმის ავტოსადგურს“, მასში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილი 30,9% შეადგენს და მიუხედავად სამინისტროს მხრიდან დივიდენდის ბიუჯეტში ჩარიცხვის მოთხოვნის დაყენებისა, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების საფუძველზე, საწარმოში გაუნაწილებელი მოგების სახით დატოვებული თანხების ოდენობამ 2012 წლის შედეგების გათვალისწინებით 401,5 ათასი ლარი შეადგინა საიდანაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი დივიდენდის წილი 33,9 ათას ლარს შეადგენს. ამასთან აღსანიშნავია, რომ სამინისტროში არ არის წარმოდგენილი საერთო კრების მიერ დამტკიცებული ინფორმაცია აღნიშნული თანხების გამოყენების შესახებ[18].

- **ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი 5772,6 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 5637,9 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 97,7 პროცენტია. სამინისტროს საბიუჯეტო კოდში შემავალი ორგანიზაციებისა და ღონისძიებების შესაბამისად ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სახისაა:

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატი	2 946 900	2 816 404	130 496	95,6
სახაზინო სამსახური	202 900	200 999	1 901	99,1
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცითი მოწყობის სქემის შემუშავება	56 738	56 738	0	100
